ოქმი #2

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყადე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების კითხვარების განხილვა-შეფასება;
2. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებების განხილვა;
3. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების კითხვარებთან დაკავშირებით. მან დამსწრეებს მოახსენა, რომ წარმოდგენილია ინსტიტუტის 58 მეცნიერის თვითშეფასების კითხვარი. ამათგან ერთი, ალგებრის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლის გიორგი არაბიძის, არ არის შევსებული, რადგან გ. არაბიძემ 2022 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა მნიშვნელოვანი სამეცნიერო აქტივობის განხორციელება.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების კითხვარები.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : ა) დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების კითხვარები, გარდა ალგებრის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლის გიორგი არაბიძის კითხვარისა;

ბ) წარედგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების კითხვარები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შემოსულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ფარცვანიას განცხადება. განცხადებას თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ფარცვანიას კანდიდატურა დარეგისტრირდეს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : თ. ქადეიშვილის გამოსვლა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრის დღის დანიშვნასთან დაკავშირებით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **2023 წლის 25 იანვარს, 16 საათზე.**

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE